საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 7 მარტი 1919 წ. მოქალაქეთა კმელა კმეკანისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ. ‘ერთობა’: 1 თვით 18 მანეთი ნახევარ წლიური ფასად 75 კაპ. განცხადებათა ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ ბეჭდება. დაუბეჭდავ საგანთა მასალას რედაქცია არ ინახავს, ატარებს უკან მხოლოდ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ მიწერ-მოწერას კისრულობს.

ადგილობრივ მოამწერლებმა ფულა შემდეგი ადრესი უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მიღებანი-ქმა შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 53 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 53

ღრმად დამწუხრებული ძმები: სერგეპეონ, ბიკტორ და ნიკიფორე, რძალი ნინა ვასილის ასული, ძმისწულები; ვასო, ქეთო და თამარა, ბიძაშვილი: გიორგი მოსესძე მეუღლით ანთაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თფილისში 4 მარტს გარდაიცვალა ჩვენთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

პავლე ქრისტესის ძე ანთაძე

გამოსვენება მოხდება 9 მარტს რკინის გზის სადგურიდან დილის 10 საათზე, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

გულმოკლულნი მამა ლევანელი იოანნე, დედა თამარი, დები: ოლგა, ელენე და სონა ქმრებით, ნინა და ძმა ლადო მეუღლით ეკატერინეთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 5 მარტს სახადით უდროოთ გარდაიცვალა თფილისის რკინის გზის სადგურის ექიმი ქალი

გაგო ივანეს ასული ლაზარიერი

გამოსვენება რკინის გზის სადგურიდან 7 მარტს, დილის 10 ს. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

უზომოდ დამწუხრებული დიმიტრე და ვანასი სურგულაძენი შვილით ანატოლით აცხადებენ საზოგადოებას და ნათესავების საყურადღებოდ, რომ 2 ამა მარტს დაბა ლაგოდეხში გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველის სიმამრი, მეორეს ბიძა, ხოლო მესამის ბაბუა

იასე რაჭველი--მეხუზლა

რომლის დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კესარია, შვილები: თედორე, ალექსი, მაყვალა, ნადია, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი ქმრისა, ხოლო დანარჩენები ძვირფასი საყვარელი მამის

გრიგოლ ალექსის ძე ჯალანდაძის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს, 8 მარტს მეწიფეთის წმინდა გიორგის ეკლესიაზე (გორია). (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა მარიამი, მამა ლეონტი, ძმები: ნიკოლოზი, ლეონიდი, და ელენა ბარკალაიები, ბეჭია ატატო და ბაბუა ალექსი ქვარცხავები, მამიდა ოლინკა და ბიძა გარსევანი გაბუჩიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 8 მარტს დილით ათ საათზე გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ალექსი (იგივე ტოტი) ლეონტის ძე გარკალაიას

სულის მოსახსენებლად. (1—1)

მოლაპარაკება სომხეთთან

ამ ორ რესპუბლიკის მოლაპარაკება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა ამიერ-კავკასიის ერთა ცხოვრებაში.

ჩვენ განვიცადეთ ომი ერთმანეთთან, ჩვენ გვქონდა ხაზი პოლიტიკის ერთი მეორის დიამეტრალურად წინააღმდეგი, ჩვენ გვქონდა სადავო საზღვრები, პოლიტიკა, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც ჩვენს ქვაკუთხედს შეადგენდა. თვით არსებობა საქართველოს რესპუბლიკისა იყო სადავო და მიუღებელი ფაქტი მეზობელისათვის. იგი ჩვენს დანგრევაზე ფიქრობდა თავის პოლიტიკურ მიზნების განხორციელებას.

ახლა კი ამ რესპუბლიკასთან გამოჩნდა საერთო ხაზი. რა შეიცვალა? რასაკვირველია არა საქართველო და მისი ხელმძღვანელები. ჩვენი პოლიტიკა დარჩა იგივე, რაც იყო: დემოკრატიული, მეზობლებთან მეგობრობის მსურველი, მტერთან სასტიკი მებრძოლი. მისი სურვილი იგივეა, განმტკიცება თავისუფლების და დამოუკიდებლობის, აღდგენა-განახლება ეკონომიური და სოციალური სფეროების.

შეიცვალა მხოლოდ ჩვენი მეზობელ რესპუბლიკის სულიერი მდგომარეობა. ვერსალის სანადო კონფერენციის მუშაობამ, რომელზედაც ბოლოს ნუბარ ფაშამ წამოაყენა პოლიტიკური მისწრაფებანი სომხეთის ერისა, და რომელიც საქართველოსთან დავას უარყოფდა და სადავო კითხვებს უდაოთ ხდიდა, ერთგვარი გავლენა მოახდინა აქაურ წრეებზედაც. ლტოლვა თფილისელი ხელმძღვანელი სომხებისა ჩრდილოეთის აკენ, რკინის ხელით იქნა შეჩერებული ქართველი ჯარისაგან. და ამ გაკვეთილის შემდეგ ნუბარ ფაშას პოლიტიკას მიეცა გასავალი.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ პოლიტიკურ გადატეხას, და თუ იგი უდღეური არ გამოდგა, თუ მან მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა სომხის ხელმძღვანელებში, თუ იგი მათთვის საარსებო საგნათ იქცა, ჩვენ უნდა სრული იმედი გვქონდეს, რომ ამ ორ მეზობელ რესპუბლიკებს შორის მეგობრული მეზობლობა ჩაეყრება საფუძველი. ამ მეგობრობით კი ორივე რესპუბლიკა გაძლიერდება, გადლნიერდება, მთელი მათი შემოქმედებითი ნიჭი უმთავრესათ შინაური აღორძინება აყვავების გარშემო დატრიალდება.

და რაც უმთავრესია—თავიდან იქნება აცილებული ის უდიდესი საფრთხე, რომელიც ყოველთვის ჩრდილოეთისკენ აცქერინებდა, როგორც სოჭხის, ისე ქართველ ერს.

ჩვენ ვგულისხმობთ იმ ძალას, რომელმაც გასულ წელს ააფორიაქა ბათომი და ყარსი, და თვით ამ ორ რესპუბლიკას ჩაყლაპვას უქადდა, რომ გარეშე ძალებს არ ეხსნათ ისინი.

ამ რესპუბლიკათა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა იყო ერთი მიზეზთაგანი ჩვენი მაშინდელი სისუსტის, დაქსაქსვის, დამარცხების.

არ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ჯარისაგან ოსმალთა გარეკვას სანაინის სადგურთან, სომხეთის მთავრობა, რომელიც ოსმალთა ხიშტებ ქვეშ გმინავდა, პროტესტით შეხვდა. ცხადია, მის თვის საქართველო ოსმალეთის ასკ რებზე ნაკლებ მისაღები იყო.

ამ უგნურ პოლიტიკას უნდა ბოლო მოეღოს.

ჩვენ უნდა ვიგრძნოთ სრული სოლიდარობის საჭიროება კავკასიის ერთა შორის. იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის დროს იყო წამოყენებული, და რომელიც უდროოთ დაბინდარა, ახლა კვლავ უნდა აღდგეს, სხვა სახით და ფორმით. ქართველ-სომეხთა შეთანხმება ამ იდეის პირველი მერცხალი იქნება.

ამიტომ საკვირველი არაა, რომ ჩვენ და ჩვენი ხალხი დიდი ინტერესით უცქერის ამ მოლაპარაკებას.

ამისაგან გამოელის ბევრ რამეს, რა ზედაც წინათ ოცნებობდა, დიდი იდეები, არსებითი ინტერესები, ისტორიული პერსპექტივები, რომელთაც ამ მოლაპარაკებით უნდა ჩაეყაროს საფუძველი, მოითხოვს ორივე მხარესაგან განსაკუთრებულ დაკვირვებას და ურთიერთის ინტერესების შეგნებას.

სადაო ადგილი უნდა დარჩეს, არც სომხეთისთვის, არც საქართველოსთვის.

ამ მხრივ პოლოს ნუბარ ფაშის პროექტი, რომელიც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ჩვენთვის სრულიად მისაღებია მოლაპარაკების საფუძვლად. და მას მხოლოდ საზღვრის ხაზის გასწორებაღა უნდა მოყვეს, იმდენათ დამაკმაყოფილებელია.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ძლიერი სომხეთი დიდი გარანტია იქნება საქართველოსთვის ასეთ პირობებში, და ძლიერი საქართველო მტკიცე ბურჯი სომხეთის თავისუფალ განვითარებისთვის.

ეს არ უნდა დაივიწყონ ამ ორი რესპუბლიკის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. ყოველი საკითხი, გარეშე ამ მთავარი საზღვრების გამიჯვნისა, შეღარებით უმნიშვნელოა. ამ ჟამათ იგინი ამ პირველისაგან არის დამოკიდებული, ეკონომიური ხელშეკრულება, ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის დამყარება და ნამდვილი გულისდადება ამ ორი ერის დემოკრატიის შორის, აღვილათ მისაღწევი და იოლი განსახორციელებელი იქნება.

აი ამიტომ მივაქცევთ მთავარ ყურადღებას პირველ საკითხს, და აქეთკენ გვინდა მივუთითოთ ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებს.

უმუშევართა დღეები

თფილისი უმუშევრებით აივსო. მრავალი ქარხანა გაჩერებულია, ცხოვრება კი აზლაპროთ გაძვირდა. ამით უმუშევართა ბედი ერთ-ერთი საშინელი და აუტანელი შეიქნა. სპეკულიაცია ყოველთვის ხალხს ვნებს, უმუშევრებს კი ყოველი მოუწყობლობის ცოდვები ატყდებათ თავზე.

ეს უმუშევრები—პირდაპირი, თვალსაჩინო მაჩვენებელია დღევანდელი ბურჟუაზიული ურთიერთობის უგარგისობისა. უმუშევრობა—ეს თანდაყოლილი ბოროტებაა იმ ურთიერთობის, რომლის ნიადაგზე ასე სუქდება და ივსება სპეკულიაციის გაუმძიმური მადა. უმუშევრობა—ეს მუდმივი მსხვერპლია, რომელსაც იწირავს კაპიტალი, საზოგადოებას, ყველას უდევს წილი ამ ბოროტების არსებობაში. როგორც გადამდები სენი საზოგადოებრივი უბედურება, ისე უმუშევრობა, იმ განსხვავებით, რომ გადამდები სენი მოიარულია, დროებითი და მალე თავდება. უმუშევრობა კი კაპიტალიზმის პირმშო შვილია, მის გამდიდრების თანდაყოლილი უბედურებაა, მისი აუცილებელი ანტიპოდია. სადაც სიმდიდრე შენდება, იქ უმუშევართა შიმშილით სიკვდილი აუცილებელია.

მაგრამ ამ სენს, უმუშევრობას, განსაკუთრებით მწაუკუ ხასიათი აქვს ზოგიერთ მომენტში, როცა კაპიტალისტური ურთიერთობა რაიმე რყევას განიცდის. კაპიტალს ყოველთვის მუშა ყავს მსხვერპლათ განწირული. იზრდება მას სრესს, იკლებს მას სრესს, გაუჭირდება მას გაჭირვებს, დაულხინდება, მაინც მას გაჭყლეტს.

მაგრამ დალხინების ხანაში მსხვერპლი მცირეა იშვიათი: არ გეცემა თვალში, გაჭირვების ხანაში კი იგი ათასობით ითვლება და ქუჩებს ეფინება.

ასეთი ხანა დგას დღეს. გამწვავებული მდგომარეობა, გამოურკვევლობა კაპიტალის დადებითი მუშაობისა, აფერხებს მის საქმიანობას და ასრესინებს მუშებს. ცხადია უმუშევრობა—დიდი სოციალური მოვლენაა, რომელსაც საზოგადოებრივობამ შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს. ამიტომ თხოულობს დემოკრატია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს იგი უმუშევრობისაგან. მაგრამ ამ ჟამად, აი დღეს, რომ ქუჩაში ხალხი დადის უპურობით, მას დაზღვეული კანონისთვის ცდა და მის გახორციელებამდე მოთმენა არ შეუძლია. იგი დაუყოვნებლივ თხოულობს დახმარებას. სახელმწიფო ძმიმე ეპარატია, იგი ასე სწრაფათ ვერ მოახერხებს ამ დიდი რეფორმის გატარებას. საზოგადოება კი მაინც ვალდებულია თავის მტკივან ადგილს ერთხელ მაინც მოხედოს და მას თუნდ დროებითი მალამო დასდოს.

ამ 7—8—9 მარტს უმუშევართა დღეებია.

ახლა ეძლევა საშუალება ყველას თავის მოვალეობა მოიხადოს იმათ წინეშე, ვისი შრომითაც ცხოვრობს. უმუშევართა დახმარება საზოგადოებრივი მოვალეობაა და არა მოწყალება. ეს სოციალური საქმეა და არა უბრალო ქველმოქმედება.

მისი მომწყობნიც ასე ფართეთ უფრებენ ამ საკითხს—ანუ უნდა შეხედოს თათ. ჩვენ ვართ პარტია ამ ქვეყნიური, ხალხის ბედით დაინტერესებული. ადამიანური ჩვენ შეცდომაც მოგვივა და კეთილი საქმეც.

ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსაც ეს გარემოება მეტათ ახარებს, მაგრამ ახარებს სხვა მიზნით. მათ გონიათ, რომ ეს კრიტიკა თავის თავის, არის იმავე დროს თვითმკვლელობა. ამიტომ თვის თავს ისინი უზომო ტრაბახით უმაღლესენ ჩვენ, ჩვენ გულახდილ აღსარებას კი ჩვენს სასიკეთილო მოვლენათ გვითვლიან.

ესერული „შრომის“ მეპრესე, ხალხის ვოტუმით გულდაწყვეტილი, ჩვენზე იოხებს დაწყლულებულ გულს. და მოყავს რა ფრაზა ჩვენი თვითკრიტიკისა დასასკვნის: „ამის შემდეგ „ერთობას“ დასჭირდება წერა არა მარტო ზოგიერთ დაწესებულებათა ლიკვიდაციაზე, არამედ საკუთარ პარტიის... ლიკვიდაციაზე.

ასეთივე კილოთი გაგვიმასპინძლდა „საქართველოც“. იგიც ამ ადსარებით ჩვენ გვეპირობს დამხობას.

არც ერთს და არც მეორეს, ცხადია, არ ესმის ქვაკუთხედი დემოკრატიული პოლიტიკის: ხალხის წინაშე მისი მსახურნი და დამცველნი თავის ღირსებას არ დამალავენ, მაგრამ არც ნაკლულევანებაზე დაიფარებენ ხელს. განა ჩვენ რომ ამის შეგნება არ გვქონდეს, რაც არ მოხერხდა დღეზედ, სახვალეო სამუშაოს როგორღა გამოვიკვლევდით?

და ჩვენ გაზეთს ჰგონია, რომ იგი ხალხს ნამდვილ სამსახურს უწევს თავის თავის კრიტიკითაც ისე, როგორც „შრომის“ და „საქართველოს“ უძლური ბრალბანობის ენერგიული კრიტიკით. ჩვენი პარტიისთვის პარტიული გაძლიერების და ზრდის ინტერესები მჭიდროთაა გადაბმული ხალხის, დემოკრატიის ფართე წრეების ინტერესების დაცვასთან. და რაც ამ ხალხს აწყენს, ის არც პარტიას მოუხდება. ამიტომ ჩვენ არც თავის თავის კრიტიკაზე ავიღებთ ხელს, სრული დარწმუნებულნი, რომ ეს მიგვიყვანს არა პარტიის ლიკვიდაციამდე, არამედ მის გაწმენდასა, ამაღლებასა და გაძლიერებამდე.

ჩვენი ესერების უუსურობას და ეროვნულ-დემოკრატების ვიპრულ ტკუას არ შეუძლია სალი კრიტიკის წარმოებაც კი, რომლითაც შეგვძლებოდა გვესარგებლნა. მაგრამ ეს მხოლოდ მათი შომაველისთვის იქნება საბედისწერო, ჩვენ არა ჩვენი პარტიისთვის. ჩვენ დიდი და ძმიმე საქმეების გაკეთება გვარგუნა ბედმა, ის გავაკეთეთ. ბევრი დაგვრჩა მოუწყობელი და გაუკეთებელი, მის გაკეთებას და გაუმჯობესებას ახლა გვსურს მთავარი ყურადღება მივაპყრათ. ‘ რომ ამაში ჩვენი ოპოზიციონური პარტიები დაგვეხმარებოდნენ, თუნდ სალი კრიტიკით, ამითაც ჩვენი დადებითი მუშაობის მონაწილენი და მოზიარენი გახდებიან. ჩვენ მათი კრიტიკით ვისარგებლებდით. მაგრამ სამწუხაროთ, ამას ვერ ვხედავთ. და ეს ერთხელ კიდევ გვაძლევს ზედმეტ საბუთს თვით ვაწარმოვოთ კრიტიკაც ჩვენი მუშაობისა და მის გამოსწორებაზედაც ვიზრუნოთ.

ხალხის ინტერესებისათვის ჩვენ ამ ძმიმე მოვალეობაზედაც უარს არ ვიტყვით.

პრესა

„ჰარაჩი“ (№ 42) მოწინავე წერილში შემდეგს სწერს:

„ბელიკლიუჩში გაგზავნილმა კომისიამ დაამბრუნა თავიანთ ალაგებიდან გაქცეული სოფლელები და დაამპატიმრა ის პარტიზანული რაზმი, რომლის ხელითაც განადგურდა სოფლები. იმედი გვაქვს, რომ სამართალში მიეცემიან აუარებელი ბოროტმოქმედებისთვის.

„მაგრამ მთავრობის და საზოგადოების ყურადღება უნდა მიქცეული იყოს არა თუ დანაშაულების დასჯაზე, არამედ იმაზე, რომ გამოიქომაგონ იმ სოფლებს, რომელნიც იხოცებიან შიმშილით და გადამდები სენით. როგორც სჩანს კომისიის ცნობებიდან, სოფლები დაღეთი, ბოლნისი, დუშანისი, ვარდისუბანი, კიონეთი, დუბნუკი და სხვა ისეა გაძარცული, რომ არც ერთ ეზოში არაფერი არ დარჩენილა. სოფლებში არ დარჩენილა არც ქათამი, არც ძროხა, არც ცხენი და სხვა შინაური პირუტყვი.

„თვით ძაღლებიც გაქცეულან ამ ალაგებიდან.

„ძნელი არ არის კაცმა წარმოიდგინოს თავიანთ ადგილებში დაბრუნებულ სოფლელების მძიმე ტანჯვა-ტანჯვა. ნელი მდგომარეობა. დარჩენილნი უპურობდ, უსაქონლოდ, უტანისამოსოდ და მხოლოდ ელიან სიკვდილს, რომ მოვიდეს და მოუსპოს მათ ტანჯვა. და სიკვდილიც მიდის ლა მიჰყავს „რამიშვილიზმის“ უმანკო ესპერანტები.

„მარტო ბოლნის ხაჩინში 1000 კაციდან 740 ტიფითაა ავადა, რომლებიც უშამლოდ, უექიმოდ [illegible]ებიან.

„საქართველოში არსებულ სომხების ეროვნულ საბჭოს, რომელიც ფინანსების ხმრივ კატასტროფულ მდგომარეობაშია და არა აქვს [illegible] [illegible]ლება თვით დაეხმაროს თავის ო[illegible]ლებს და [illegible]ლტოლვილებს, ჯერ გასული თვეების ფულები არ დაურიგებია, ამ საბჭოს არ შეუძლია რაიმე საგრძნობი დახმარება გაუწიოს ამ უბედურებს. ერთად ერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია და მოვალეა დაეხმაროს ამ სოფლელ ხალხს—არის საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობას შეუძლია ქალაქების კავშირის საექიმო-სასანიტარო განყოფილების საშუალებით სწრაფი მედიკური დახმარება გაუწიოს სოფლელ ხალხს და ზომები მიიღოს, რომ გადამდები სენი ეპიდემიათ არ გადაიქცეს.

„ჩვენ ვფლობთ, რომ საქართველოს მთავრობა განიხილავს მოხსენებას და დაუყონებლივ გადასდებს განსაზღვრულ თანხას ამ მიზნისათვის. დე, ეხლა მაინც თავის კეთილი სურვილით რამდენიმეთ მაინც შეამსუბუქოს თავისი დანაშაულის მთელი სიმძიმე.

„მთავრობა მოვალეა დაეხმაროს თავის ხალხს.

„ჩვენ ამას მოვითხოვთ...

ჩვენ ვფლობთ“...

„ჰარაჩი“ ეკითხ... და ჩვენც გვინდა ახლავე ვუპასუხოთ. ორი რამ არის ადასანიშნავი:

ერთი ის, რომ „ჰარაჩი“ ცდილობს, „რამიშვილიზმს“ გადააბრალოს თავის ბოროტება. ვინ ააჯანყა ეს ხალხი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ?

საქართველოს მთავრობამ, თუ იმ ბნელმა მუშაობამ, რომელსაც ამ საქართველოს დამხობა ქონდა მიზნათ? და „ჰარაჩი“, რომელიც ამ ბოროტების ჩამდენთ ძალიან ახლოს იცნობს, რატომ მათ არ მისდგება თავის კრიტიკით?

ჩვენ ვიცით ისიც, რომ რამიშვილიზმზე მითითება ამ შემთხვევაში იმ ქურდის კივილს გავს, რომელიც ნაქურდალით ხელში გარბის და თან ხალხს მისძახის: არიქა, ქურდი დაიჭირეთო.

ამ რიგათ, ეს პოლიტიკური ელემენტი, ეს გამოყენება ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო, ხალხის ყოველი გასაჭირისა, რომელიც მათი დაწნაკური ხელით გაკეთებული, დამახასიათებელია „ჰარაჩის“ და იგი დღესაც ამას ვერ ჩამოშორებია.

მაგრამ ჩვენ არ გამოვუდგებით ამ ნიადაგზე დავას, ჩვენ გვწამს, რომ მალე თვით სომხის ხალხი გაჩარჩევს თვის ნამდვილ დამლუპველს და ამწიოკებელს, ნამდვილი მეგობრისა და კეთილის მყოფელისაგან.

ჩვენ გვინდა ამ ჟამათ მივუთითოთ ერთ საშუალებაზე მთავრობას, რომ მას შეეძლოს ამ ეგნური აგიტატორების და ბოროტი პოლიტიკისაგან გაბრიყვებულ ხალხს შეუმსუბუქოს მწარე ბედი, რომელშიც იგი მოყვანათ მოსუ[illegible] [illegible]ბულებმა ჩაგდეს.

ჩვენ გვინდა, რომ საქარ[illegible]ველოს მთავრობამ ადმოუჩინოს მათ დახმარება. მაგრამ საქართველოს ხაზინა [illegible]ალიერია და წყარო სხვაგან უნდა გაიხსნა. ჩვენ მიუთითებთ ერთ წყაროზე: სომხეთთან ომის ხანაში სომეხი ვაჭრები თფილისში კომიტეტს ად[illegible]ენენ, რომ ორივე მებრძოლ მხარეზე [illegible]ზალ[illegible]ულთ დახმარებდნენ. შეიძლება ამ ორივე მხარეში მაშინ რეალურათ სომეხეთის ჯარისთვის ლეგალური დახმარება იფარებოდა, მაგრამ ახლა ამ[illegible] [illegible]ნ[illegible] გამოვუდგებით.

ახლა ჩვენ თვალწინ დგას საშინელი

ᲓᲦᲔᲡ

ამაღლების ფრონტზე 5 მარტს ჩვენმა ჯარმა ხაერთო შეტევა დაიწყო და აიღო აწყური. ტყვედ წამოიყვანა 18 კაცი. ჩვენის მხრით მოკლულია ერთი სახალხო გვარდიელი.

მდ. სუფსის შესართავთან ავაზაკებმა გაძარცვეს ფოთიდან ბათუმისაკენ მიმავალი გემი. მგზავრებს წაართვეს 1 მილიონამდე მანეთი.

— —

ინგლისის ხარდლობის განკარგულებით იარაღი ამყარეს კასპიის ფლოტს და მოხალისეთა არმიის ხარდალ გენ. პრეფვალსკის წინადადება მიეცა დასტოვოს ბაკო, რაც სახრულეში აქნა მოყვანილი,

ბალშევიკების ცნობით ადგილაში მყოფ. ხაფრანგეთის ხარდლობასა და გენ. დენიკინის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი.

სპარსეთის დელეგაცია პარიზში მიგიდა ხაზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად

მოკავშირეთა მოთხოვნით გერმანიამ ჯარი 25 ათასამდე უნდა შეამციროს ამაზე მეტი რიცხვი უნდა დაეშვებინოს მოკავშირეთა კანტროლს.

მაროკკოში მკაცრი ზომები აქნება მიღებული გერმანიის პროპაგანდის წინააღმ ეგ. იქიდან გადაასახლებენ ზოგიერთ გერმანელს.

ბალშევიკების ცნობით გერმანიაში ხაერთო გაფიცვებია. გერმანული პრესის ცნობით ფოხტა-ტელეგრაფის მუხელეებმა და რკინის გზელებმა უარი თქვეს ხაყოველთაო გაფიცვაზე.

სურათი ომის შედეგებისა. თფილისის ბურჟუაზია მორალური და პოლიტიკური დამნაშავეა ამ ომში. და თუ მას სურს თავის შეცდომების გამოსწორება, უნდა ფულით მაინც გამოისყიდოს თავის შეცოდება ხალხის წინაშე. უნდა შეიგეს ისევ ეს დამხმარე კომიტეტი; მეტს ვიტყვით, მთავრობამ უნდა აიძულოს ისინი შეადგინონ კომიტეტი, გადიწერონ თავიანთ შორის საშირო თანხა და შეტანონ დახმარების აღმოსაჩენათ.

არც ქართველ ჯარის ზოგიერთ პირების დანაშაულზე მითითება, არც მთავრობის ცალიერ ხაზინაზე დაწოლა არ უშვილის საქმეს.

„ჰარაჩიც" კარგათ იცნობს, რომ თფილისის ვაჭრებს მეტი შეუძლიათ, ვინემ რესპუბლიკის ცალიერ ხაზინას. და თუ ისინი ახლა ამ ხაზინას უყენებენ მოთხოვნილებას,—ესეც ერთგვარი პოლიტიკური ხრიკია მათგან. ჩვენ გვინდა ეს „ხრიკი" თავიდან ავიშოროთ, მთავრობამ თავის მოვალეობა—თავს იდვას და ბურჟუაზიის ჯიბეს ის დააკარონს, რაც ამ ჯიბის პატრონებს უნდა სამართლით გაეკეთებინა.

სომხის დემოკრატია მოტყუებული ამ ხალხისაგან, მაშინ დაინახავს სადაა სწორი გზა და ვის უნდა ებრძოლოს, როცა თავის ბედის გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნვა.

ᲙᲐᲡᲙᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ

მოკავშირეთა მიერ რუსეთში კრედიტი გახსნილი აქვს მხოლოდ დენიკინს და კოლჩაკს. კასპიის ფლოტს წინადადება მისცეს, თუ მას სურს არსებობა უნდა იცნოს დენიკინის მეთაურობა და დაემორჩილოს მოხალისეთა არმიის სარდლობას. მეზღვაურებმა ცენტრო-კასპის მეთაურობით მიმართეს პოლიტიკურ პარტიებს რჩევისათვის. ამავე დროს ფლოტში გაჩაღდა პროვოკაციული მუშაობა. როდესაც ფლოტმა გაიგო, რომ იარაღის აყრას უპირებენ, ზღვაში გავიდა. გენ. ტომსონმა წინადადება მისცა მათ ორის ნახევარზე დაბრუნებულიყვნენ ნავთსადგურებში და იარაღი აეყარათ. დღის ოთხ საათზე ფლოტილია დაბრუნდა და იარაღი აიყარა. განიარაღება დასრულდა ორ მარტს. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საერთოდ ბაკოში და კერძოთ ბაკოს მუშებში. მოხდა მუშათა სასწრაფო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 250 დელეგატი სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ამხ. როხლინმა, რომელმაც შინაარსი მოგვყავს ბაკოს გაზეთებიდან.

ბიჩერახოვის წასვლის შემდეგ,—ამბობს ამხ. როხლინი,—დანიშნა გენერალი პრეფვალსკი, რომელიც ემორჩილებოდა დენიკინს. ბაკოს დემოკრატიის უმრავლესობას არ შეეძლო ეცნო დენიკინი და მისი აგენტი. თუმცა დენიკინის არმიის ჯარისკაცთა დიდი ნაწილი არ არის რეაქციონურად განწყობილი, მაგრამ მის პოლიტიკას საზღვრავს რეაქციონური სარდლობა.

პრეფვალსკის დანიშვნის შემდეგ ბაქოში თავი იჩინა დენიკინის პოლიტიკამ. ერთის მხრით გავრცელდა ხმები, რომ ბაკოში სდგება მოხალისეთა რაზმები, რომლებშიაც ეწერებიან სომხები. ამ ხმებმა მუსულმანებში გამოიწვია მღელვარება. მეორეს მხრით ფლოტში იწყო თავის მოყრა ისეთმა ელემენტებმა, რომლებიც დენიკინს თანაუგრძნობდნენ. ავტო-კოლონას განუცხადეს, რომ იქ იქნება დამყარებული ისეთი რეჟიმი, როგორიც არის მოხალისეთა არმიაში. მასთან არ იყო გარკვეულად ნათქვამი, თუ ვის წინააღმდეგ იქნებოდნენ ეს ძალები მიმართული. ამავე დროს დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ დენიკინს განზრახვა აქვს ამიერ-კავკასიას შემოუტიოს. ჩვენ არ გვაქვს ცნობები დენიკინის ასეთი გეგმის შესახებ, მაგრამ მოხდა ერთი ფაქტი. ეს იყო სოჩის დაკავება დენიკინის არმიის მიერ. სოციალისტური პარტიების ტ დემოკრატიის დამოკიდებულება ამ გეგმასთან ჩვენ ვიცით. ჩვენ ვცადეთ, რომ ჩვენ ვდგეგართ ამიერ კავკასიის გაერთიანების ნიადაგზე, კერძოთ ბაკოს დემოკრატიულ რეპუბლიკასთან გაერთიანების ნიადაგზე, ვინაიდან ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რუსეთის ყველა ხალხისათვის.

ჩვენ არ ვამბობდით, რომ ბაკოში ნავთია და ამიტომ ის ესაჭიროება რუსეთს, არა, რუსეთიც საჭიროა ბაკოსათვის. გამოვდიოდით რა აქედან, ჩვენ ვამბობდით, რომ თუ ამიერ-კავკასიას დაემუქრება ვინმე იარაღით დაპყრობით, მაშინ ჩვენ „დამოუკიდებლებთან" ერთათ ვიქნებით რეაქციონურ გენერალთა რეაქციონური განზრახვების წინააღმდეგ.

პრეფვალსკი შეიცადა თავის ზრახვების განხორციელებას ფლოტში და ავტოკოლონაში. ავტოკოლონას წინადადება მიეცა დენიკინისეული წესრიგის მიღების შესახებ, ავტოკოლონამ ამაზე უარით უპასუხა და გაიფიცა.

ფლოტის წინაშე წამოვარა საკითხი საშუალების შესახებ.

მათ რჩევისათვის მიმართეს პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. აქ თავი იჩინა რამოდენიმე მიმდინარეობამ. ერთნი ამბობდენ: შეუძლებელია ფულების მიღება დენიკინისაგან: შეორენი მოხსრე იყვნენ, მაგრამ წინააღმდეგი „დენიკინისიბჯარი" წესრიგის. მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელათ მიჩნდათ, ამიტომ თავი იჩინა მესამე აზრმა, ან ასტრახანში წასულიყვნენ, ან და ფლოტი აეფეთქებინათ. გამონაბულ იქნა კიდევ ერთი გეგმა. რადგანაც დენიკინის ფულებს ვერ მივიღებთ, ხოლო ბაკშირეკებთან მისვლა შეუძლებელია, ამიტომ უნდა გამოვართვათ ფულები იმ ძალას, რომელიც ნაკლებ ზიანს მოგვიტანს, ასეთ ძალათ ცნობილ იქნა ადერბეიჯანი. ასარჩევი იყო: დენიკინი თუ ადერბეიჯანი. უმჯობესია ფლოტი ფორმალურად გადაეცეს ადერბეიჯანს, ხოლო იმ პირობით, რომ მოხდეს მისი მთავრობის დემოკრატიზაცია.

28 თებერვალს ინგლისის სარდლობამ უბრძანა გენ. პრეფვალსკის ფლოტისთვის იარაღი აეყარა, პრეფვალსკიმ ამაზე (ხმები ასეთია) უპასუხა: „არც შეშიძლია და არც მინდა", რამდენათ მარცალია, რომ მან უთხრა „არ მინდაო", ამაზე მ. ჯელლობა ძნელია. ამას მოჰყვა ორი ულტიმატუმი: მოხალისეთა ჯარს 1 მარტის 4 საათისათვის ბაქოს დატოვების შესახებ, ხოლო ფლოტს იარაღის აყრის შესახებ.

წასვლისას პრეფვალსკიმ უბრძანა ფლოტს შეეერულებინა ინგლისის სარდლობის განკარგულება, ფლოტმა ამ ულტიმატუმს სხვანაირი პასუხი გასცა. ლამე ფლოტის დიდი ნაწილი, ზღვაში გავიდა, ინგლისელებმა გააძლიერეს ზღვის სანაპიროს რაზმები. და ქალაქი სამხედრო ლაგერს დაემგგავა.

მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმმა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ და სოციალისტურმა პარტიებმა გადაწყვიტეს ზომების მიღება სისხლის ღვრის ასაცილებლად. ამ მიზნით გენ. ტომსონთან გაიგზავნა დელეგაცია, რომელშიც შედიოდენ: ჩურაგვი, როხლინი და ევანგულოვი.

დელეგატებმა მიუთითეს გენ. ტომსონს სისხლის ღვრის შესაძლებლობაზე. გენერალმა დაბეზვიდა ასინი და უთხრა, რომ ყუმბარების გასროლამდე საქმე არ მივა, ფლოტი ან დაბრუნებული იქნება, ანდა მალე დაბრუნდებაო. დელეგატებმა დაბეჯითებით მოითხოვეს, რომ ისინი დაეშვათ გემებზე. გენერალი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა. დელეგატები გაეგზავნენ ნავთსადგურისაკენ, მაგრამ გზაზე მათ გაიგეს, რომ გემები უკვე დაბრუნებულ იყვნენ და მათი განიარაღებაც დაწყებულ იყო.

მოხსენების დასკვნა ასეთი იყო:

1) ვინაიდან მოდის ცნობები დატუსაღების შესახებ, მოვითხოვთ არ მოხდეს არავითარი დატუსაღება; დატუსაღებულნი კი განთავისუფლებულ იქნენ.

2) მიეცეს მეზღვაურებს და ავტოკოლონის მუშებს კუთვნილი ჯამაგირი სრულათ და უკლისათ.

3) მოეთხოვოს სრული განიარაღება კასპიის ფლოტის მის ინტერნაციონ. მუშათა კონფერენციის წარმომადგენელთა მონაწილეობით და კანტროლით.

4) არ უნდა მოხდეს ლაზარეთების ევაკუაცია.

ცხარე კამათის შემდეგ კონფერენციამ დაადასტურა მომხსენებლის დებულებანი და თან დაადგინა: თუ ინგლისის სარდლობა არ დათანხმდება ამ წინადადებებზე მოწვეულ იქნას კონფერენცია შემდეგი ზომების გამოსაშუალებლათ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

თფილისი. მარტის 6. (მთავარ შტაბის ცნობა). ამაღლების ფრონტზე მარტის 5 დილით ჩვენმა ჯარმა საერთო შეტევა დაიწყო. მტერი თავის პოზიციებიდან განდევნა და უკან იხევს. მარტის 6 ჩვენმა ჯარმა შეტევა განაახლა.

(საქ. დეპ. სააგ.)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ: „5 მარტს ჩვენმა ჯარმა აწყურის აღების შემდეგ 5 ვერსით წინ წაიწია სოფელ ანკარამდე. ტყვეთ წამოვიყვანეთ 18 კაცი იარაღით. ჩვენის მხრივ მოკლულ იქნა ერთი სახალხო გვარდიელი. სახალხო გვარდიისა და ჯარის სულიერი განწყობილება საუცხოოა. დღეს ჩვენი ჯარი ახალციხისკენ წაიწევს".

ბათუმი. მარტის 5. (საკ. კორ.) ბათუმში მარტის 4 მოვიდა ფოთიდან გემი „პროგრესი". მასზე მყოფ მგზავრების სიტყვით მათ შორის აღმოჩენილა 11 ავაზაკი, რომელთაც სუფსის ნაპირებს რომ მოახლოვებულა გემი, უცერათ აუტეხიათ სროლა, მოუთხოვიათ ნაპირთან მიახლოვება და დაუწყიათ მგზავრების ძარცვა. შემდეგ გემის ნავითვე გასულან ნაპირზე, სადაც მათ 4 ცხენისანი დახვდენიათ. წაუღიათ სულ ერთი მილიონი მანეთი ფული. ავაზაკები შეიარაღებული ყოფილან მაუზერებით, რევოლვერებით და ჯუმბარებით. ეს მოხდა შუადღის 1 საათზე. გაძარცულთა შორის არიან ის ვაჭრები, რომელებმაც ამ უკანასკნელ ხანს მოაწყეს საქართველოსთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე, ამითვის წურთმეფვით 850 ათასი მანეთი, დანარჩენ მგზავრებისათვის 150,000 მანეთი. ეს ამბავი უზომოთ აღაშფოთებს საზოგადოებას. ვაჭრები კი სასოწარკვეთილებას მიეცენ, მით უმეტეს, რომ საქართველოში დამყარებულ პირობებში ესენი სთვლიდენ შესაძლებლათ მუშაობას. 860 ტყვე ქართველი, რომლებიც აქ დენიკინის აფიცრებმა ჩამოიყვანეს, დღეს, ინგლისელებმა ფოთში გაგზავნეს იმავე გემით თავის აფიცრის ხელამძღვანელობის ქვეშ. (ს. დ. ს.).

თფილისი. მარტის 6. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა ყვირილიდან: ყვირილის ქალაქის ახალი საბჭოს პირველი სხდომა მიესალმება თქვენი სახით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობს და უსურვებს მას ჩვეულებრივ ნაყოფიერ მუშაობას დემოკრატიულ სახელმწიფოს განმტკიცებაში.

საბჭოს თავმჯდომარე ᲒᲐᲠᲘᲔᲚᲘ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა საგენტო)

6 მარტი.

ᲨᲐᲜᲐᲬᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ამერიკის მთავრობის მიერ ევროპის ომის დროს დამშეულ ქვეყნების დასახმარებლათ გადადებულ 100 მილიონ დოლარის ადმინისტრაციის მთავარ დირიქტორათ პრეზიდენტმა ვილსონმა হერბერტ გოოვერი დანიშნა. হერბერტ გოოვერს დაევალა გამოარკვიოს, რომელ დამშეულ სახელმწიფოს უნდა მიეცეს სურსათი და რამდენი თითოს.

ვაშინგტონის გაზეთები იუწყებიან, რომ პრეზიდენტმა ვილსონმა ამერიკის ებრაელთა კონგრესის დელეგაციას გუშინ განუცხადა, რომ მისი ღრმა რწმენით მოკავშირე სახელმწიფონი მზათ არიან ამერიკის დახმარებით დაარსონ ებრაელთა რესპუბლიკა პალესტინაში.

კლემანსომ სამშაბათს თავდასხმის შემდეგ პირველად ინახულა დეპუტატთა პალატა. კუოარებში მას მხურვალე მანიფესტაციები გუმართეს. შემდეგ კლემანსო წავიდა პალატაში, სადაც ბრეთვე გუმართეს ოვაციები და თანაგრძნობა გამოუცხადეს.

ბელგიის საქმეთა კომისია სამშაბათის სხდომაზე განაგრძობდა 1839 წლის ტრაქტატის განხილვას და გამოიტანა დასკვნა, რომელიც უმაღლეს სამხედრო საბჭოს წარედგინება.

დღეს სახელმწიფოებმა დანიშნეს თავისი წარმომადგენლები ახლად შემდგარ კომისიებში. ტერიტორიალურ საკითხების კომისიაში საფრანგეთმა დანიშნა ტარდიე, ამერიკამ—მემარი, ინგლისმა—კრეუე და იტალიამ—მარკიზი სალვაგო. ეკონომიურ კომისიაში ინგლისმა დანიშნა ჯორჯ-ფოშორი, იტალიამ—კრუსპი და კრაფეტი, საფრანგეთმა—კლემენტელი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ინგლისში დიდ ყურადღებას აქცევენ ყველა იმას, რაც ამერიკაში ხდება. ინგლისური წრეები საფუძვლიანად ფიქრობენ, რომ ინგლისი წინ არ აღუდგება მონროეს დოქტრინის დაცვას. ამერიკის მისიაში კი ფიქრობენ, რომ ხალხთა ლიგის პირობები უფრო მისაღებია და თუ შესწორებები შეიცვალოს (გაუგებარია და გამოტოვებულია) აუწყა ინგლისის თანამდებობის პირთ, რომ თუ პირობებს სხვადასხვანაირათ შეადგენენ, პრეზიდენტს უფლება ეძნება უკან წაიღოს კონკრეტულ ფორმის ილ ა.

უკვე ირკვევა, რომ წვრილი სახელმწიფოები დიდ ცვლილებებს შეიტანენ ლიგის პირობებში. ინგლისურ წრეების აზრით ეს ცვლილებანი კომისიებში უნდა დაამტკიცონ, რის გამოც ბევრ პუნქტებს გადაშინჯავენ და შეავსებენ.

შესაძლებელია, რომ ხვალ მოხდეს შეთანხმება სამხედრო პირობებზე, როდესაც ამ საკითხს მორჩებიან, ათთა საბჭო სასურსათო და ტრანსპორტის საქმეების განხილვას დაიწყებს. რუმინიას შეუძლია დაკმაყოფილოს სერბიის საჭიროებანი, მაგრამ თუ განსაკუთრებული ზომები არ იქნა მიღებული, სურსათის გადაზიდვა შეუძლებელი გახდება. ამ კვირაში განსახილველია რუსეთის საკითხი, რადგან იქიდან ისეთი ამბები მოდის, რომ აუცილებელი საჭიროა საზავო კონფერენციის მიერ დაუყოვნებლივ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას ლოიდ ჯორჯის დასწრება ხვალ შესაძლებელს გახდის ამ საქმის დაწყებას და შემდეგ ვილსონთან უმავთულო ტელეგრაფით მოლაპარაკების წყალობით ფიქრობენ, რომ შეთანხმება მოხდება.

თემთა პალატას აუწყეს, თუ წინადადებ ითანხმდება გერმანია. ეს პირობებია: მძიმე ხარბაზნების ჩაბარება, ყველა ტყვეთაგან მფრქვეველების გადაცემა, სასანგრო მორტირები და აეროპლანის გადაცემა, 4,065 ორთქმავალის გადაცემა, 5000 ის მაგიერ. 26,836 ვაგონი გადაეცემა 150,000 მაგიერ. ეს ციფრები ეხება ყველა იმას, რაც 14 თებერვალამდე ინგლისელებს ჩაბარეს. აქ არ შედის ის მასალა, რომელიც ჩვენ მოკავშირეებს გადასცეს.

დროებითი ბაზეზე ხელის მოწერის შემდეგ 70 000 ამერიკელი გაიგზავნა საბშობლოში ინგლისელების გემზე.

გერმანიის პროტესტის გამო იმის შესახებ, რომ მოკავშირეებმა სამეფო ნეო იარაღს რეკვიზიცია უქნეს და მით გერმანიის შრეწველობას ზარალი მიაყენეს და ამ ფამათ დამტკიცებულია, რომ გერმანულმა სინდიკატებმა წინადადება მისცეს ნეიტრალურ ქვეყნებს მეოთხედ ფასში შეესყიდნათ ეს იარაღი.

სპარსეთის დელეგაცია, რომელიც 10 წევრისაგან შედგება, პარიზში 16 თებერვალს მოვიდა საზავო კონფერენციაზე. მონაწილეობის მისაღებათ.

ვეიმარიდან დეპეშით იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია გერმანიის ეროვნული დროშის დამტკიცება. დროშა იქნება შავი, წითელი და ყვითელი ფერის.

ვარშავის მუნიციპალიტეტში გადაიხადეს რაფტი მოკავშირეთა მისიის პატივსაცემათ.

სირიაში და ლიბანში ომსმალეთის მიერ ჩადენილ სისხლეთა გამოსარკვევად დანიშნულმა კომისიამ ომსმალეთის ყოფილ საბჭოთ მინისტრს ჯემალ ფაშას მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

მადრიდიდან იუწყებიან, რომ მაროკკოში მკაცრი ზომები იქნება მიღებული გერმანიის პროპაგანდის წინააღმდეგ. მოკლე ხანში იქიდან გადაასახლებენ რამდენიმე გერმანელს.

გერმანელებმა უნდა შეამცირონ თავისი ჯარი 25,000-მდე; თუ ამ რიცხვზე მეტი იქნა ჯარის რაოდენობა, იმ შემთხვევაში იქნება მათზე დანიშნული მოკავშირეთა კანტროლი.

გამორკვეულია, რომ პოლონეთის ზარალი ამ ომის დროს 25 მილიარდს ღეწავს.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. მარტის 5. (გამოტოვებულია და დამახინჯებული). ჩერნოგოვი. მარტის 4 გაიხსნა დეპუტატთა საბჭო, სადაც უმეტესი ნაწილი კომუნისტია. მენშევიკებმა განაცხადეს, რომ ისინი საბჭოთა მთავრობას აღიარებენ, სხვა ფრაქციებმაც აღუთქვეს დაცვა საბჭოთა მთავრობას. აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს 7 უკრაინელი და 2 ებრაელი კომუნისტი. პოლონეთის საინიციატივო ჯგუფი პოლონურ რევოლიუციონურ ბატალიონს ადგენს ოდესა. მარტ. 1. ოდესაში მყოფ საფრანგეთის სარდლობასა და დენიკინის წარმომადგენელს შორის უთანხმოება მოხდა. დენიკინის ბრძანებით გენერალ სავინიკოვის მიერ გამოცხადებულ საერთო მობილიზაციის გამო, გენერალმა ბერტელომ განაცხადა, რომ ის არ მისცემს ნებას საერთო მობილიზაციისას და ნება დართო მხოლოდ ოფიცერთა მობილიზაციის მოხდენას. ოდესას ყველა ტუზებში კომუნისტების მოწოდებებია გაკრული, შავრაზმელების ყველგვარი ზომა პროკლამაციების მოსასპობათ უნაყოფოა. ოდესა საყვარ ბურჟუაზიის გარდა ყაზალებით, მათ აქ თავი მოიყარეს რუსეთის ყველა კუთხიდან. ყაზალები მშვენივრათ არიან შეიარაღებული, ყველთ თავისი კაცები მილიციაში და ბურჟუაზიას კონტრიბუციას აღებენ. მიტავა. 4 მარტი. მიღებულია ზომები ყოფილ ბარონების მამულებში კომუნების მოსაწყობათ. ულარიბეს გლეხთა შორის კომუნის იდეა ძალიან გავრცელებულია. ნაუენი. 4 მარ. ბერლინის მუშათა საბჭოებმა საერთო პოლიტიკური გაფიცვა გამოცხადეს. გაფიცვა გუშინ საღამოს დაიწყო. არ გაფიცულან მხოლოდ ის მუშები, რომელნიც პირველ საჭიროების საგნებს ამზადებენ. გაფიცულთა მოთხოვნილება ნამდვილი პოლიტიკური ხასიათისაა. მუშებში მოითხოვენ საბჭოთა მთავრობის დაარსებას, ყველა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებ ს, განსაკუთრებით ლიდებუხრის და რადეკისას, და მოხალისეთა რაზმების დაშლას. გადაწყდა რევოლიუციონურ სასამართლოს გადასცენ ყოფილი კაიზერი, კრონპრინცი ვილჰელმი და ლიუდენდორფი. საბჭოს ხელმძღვანელ წამოაყენეს მოთხოვნ ლება, რომ რევოლიუციონურ სასამართლოს გადასცენ ბერლინელ ტერორისტები, შეიდემანი და ნოსკე. გერმანიის ზოგიერთ კუთხიდან მოდის ცნობა, კომუნისტურ გამოსვლების შესახებ, განსაკუთრებით ლეიპციგისა და გალში, სადაც ბრბომ რაზოდენიმე აფიცერი მძიმეთ დასჭრა. ერთი ოფიცერი წყალში გადაადგეს. პარიზი. მარტი 5. 23 თებერვალს რუსეთის წითელ ჯვრის მისია საფრანგეთში მივიდა. მისიამ საფრანგეთის მთავრობას თხოვნით მიმართა, რომ მათ ნება დართონ თავისუფლათ დაათვალიერონ ის ლაზარეთები და ბანაკები, სადაც რუსი ტყვეები იმყოფებიან.

ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მარტის 4 ფოსტა ტელეგრაფის მოხელეებმა გადასწყვიტეს გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღონ.

რკინის გზელებმა უარი თქვეს საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობის მიღებაზე, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ გაფიცვა სურსათის და ნახშირის გადაზიდვას შეამცირებს, რის გამოც დაიტანჯებიან ბავშვები ავადმყოფნი და მოხუცნი.

ბალში შემოიღეს საალყო წესები და სამხედრო საველე სასამართლო, რადგანაც ცარცვა-გლეჯა არა სწყდება გალის ქალაქის არჩევნები ხელმეორეთ შესდგება, რადგანაც ბევრ ოქალაქეს საშუალება არა ჰქონდა წინა არჩევნებში მიეღო.

ბერლინის კომენდანტმა ხელმეორეთ გააფრთხილა ქალაქის მცხოვრებნი, რომ თავი შეიკავონ ყოველგვარ გამოსვლის მოწყობისა და ქუჩებში და მოედნებზე თავის მოყრისაგან.

ლეიპციგში ბურჟუაზიულ კომტრ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს მოხელეებმა: ამის გამო შეესწყვა სამხედრო პირთათვის და უმუშევართათვის ფულით დახმარების მიცემა. დეპეტატთა საბჭო გაფიცულ მოხელეებს ემუქრება... (გაუგებარია)

დრეზდენში გაფიცვამ მიზანს ვერ მიაღწია და ჩაიშალა. სპარტაკელთა გაფიცვის მომწყობი ბიურო დაჭეტილია.

კენიგსბერგში, რომელიც მთავრობის ჯარის ხელშია, საბრეწველოთა წარმომადგენლებმა სურვილი გამოსთქვეს შუამდგომლობა აღძრან, რომ გაფიცვა შესწყდეს და მუშაობა მიმდინარე კვირაში განაახლონ.

„ფორვერტსი" აღნიშნავს, რომ ადმოსავლეთ პრუსიაში დამოუკიდებელ სოციალისტთა გამოჩენილი მელადები დ ონენბით მოითხოვენ მოხალისეთა კორპუსის შედგენას საზღვრების დასაცავად ერთ და იმავე დროს კი გერმანიაში დამოუკიდებელთა ლიდერი ჰაზე თავის ფრაქციას აიძულებს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების ერაცვის წინააღმდეგ იმოქმედოს და დამოუკიდებელთა პრესა მთელ გერმანიაში მოხალისეთა კორპუსის შედგენის წინააღ მდეგ ილაშქრებს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

თათბირი. დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგება თათბირი ინგლისელთა წარმომადგენლებთან ერთად, სადაც გაირჩევა საკითხი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ცენტრალური საკანტროლო კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტში შევლენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ორ ორი წარმომადგენლები და საგანგებო თავმჯდომარე კომიტეტი უმთავრესად შეეხება ტრანზიტის საკითხს და პირდაპირ მიმოსვლას.

✦ **ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის გარშემო.** 4 მარტს, პროფესიონ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ბინაზე შესდგა საბჭოს სეკრეტარიატისა და ქალაქის საბჭოს მოსამსახურეთა წარმომადგენლების ერთობლივი სხდომა. კრებამ განიხილა მოსალოდნელი გაფიცვის საკითხი. დიდი ხნის კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს სეკრეტარიატმა მოისმინა რა მოხსენება ქალ. თვითმართველობის მოსამსახურეთა წარმომადგენლების მათ და ქალ. თვითმართველობის შორის მოსმენილ უთანხმოების შესახებ და დაადასტურა რა მეუშაკისა და მოსამსახურეების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, საჭიროდ სცნო ალეოურნოს მოსამსახურეთა კავშირს ყოველმხრივი დახმარება მიუღებელ ჯამაგირის მიღებაში. ამ კონფლიქტის მშვიდობიანად დასაბოლოვებლად სეკრეტარიატი მიიღებს ყოველგვარ ზომებს. გაფიცვას სეკრეტარიატი უარყოფს, როგორც შეუფერებელს ეხლანდელ მდგომარეობისათვის. ამასთანავე ირჩევს განსაკუთრებ. დელეგაციას სამი პირისაგან შემდგარს, რომელსაც ევალება მოლაპარაკების წარმოება. როგორც ქალაქის თვითმართველობასთან, ისე მთავრობასთან. ამავე დელეგაციას ევალება მოსამსახურეების მიერ წამოყენებულ კოლექტიური ხელშეკრულობის დამტკიცება. დამტკიცებამდე კი არბიტრაჟს შემოღება. დელეგაციაში შედიან საბჭოდან ამხ. ხელაძე, საღირაშვილი და ერთი ადგილი ეთმობა ქალაქის საბჭოს მოსამსახურეთა გაფიცვის კომიტეტის წარმომადგენელს.

✦ **ხომხეთის დიპლომატიურმა მისიამ** სთხოვა საქართველოს მთავრობას, რათა უკანასკნელმა გადასცეს მას ყველა საქმეები და სტატისტიკური ცნობები, რომელიც ხომხეთის ტერიტორიას შეეხება.

✦ **განათლების მინისტრის** განკარგულებით 6 მარტს ქუთაისში გაემგზავრა საგანგებო კომისია განათლების მინისტრის ამბანაგის თავმჯდომარეობით. კომისიას დავალებული აქვს ქუთაისის საშუალო სასწავლებელთა საეფორნო, საადმინისტრაციო და საპედაგოგო განყოფილებათა რევიზია. კომისიის შემადგენლობაში შედიან თფილისის 1 ვაჟთა გიმნაზიის დირიქტორი ი. ლულაძე, თფილ. 3 ქალთა გიმნაზიის დირიქტორი ი. ჭოლოშვილი და მე 7 ვაჟთა გიმნაზიის დირიქტორი ნ. ჩიგოგიძე.

✦ **ტარიფის მომატება.** გზათა სამინისტროს აზრით აქვს პირველი და მეორე კლასით მიმოსვლაზე ტარიფი გადიდოს.

✦ **ხომხეთში.** მთავრობის წრეებში აზრათ აქვთ მოახდინონ ხომხეთის პაპეშის რეორგანიზაცია. მონაწილეობას მიიღებენ საბჭოში ოსმალეთის ხომხები.

ა. იოჯიანი მიწვეულია ხომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მეორე ამხანაგათ. როგორც ამბობენ მას მიენდობა ერობისა და ქალაქების თვითმართველობათა გამგეობა.

✦ **ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა საყურადღებოთ.** კვირას, 9 მარტს, დილის 10 საათზე ქალაქის თვითმართველობაში მოხდება კრება ყველა ქალაქის მოსამსახურეთა საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებისა. განსახილველია ფრიად საყურადღებო და საჭირო საკითხები. ამიტომ დაბეჯითებით სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

✦ **სახალხო სახლთან** არს. ქართ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „უმუშევარნი" დასაწყისი სადამოს სრულ 7 ნახ. საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

✦ **ლექცია.** დღეს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1. ალ. ყორეოლიანის—ფსიხოლოგია, 2. კ. ქავთარაძის—ისტორია.

✦ **უმუშევართა ფონდი.** ქალაქის შრომის ბირჟაში უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა შემდეგი შემოწირულებები: მ. ბ. რობინოვიჩისაგან 100 მანეთი, ამირადოვის ოჯახისაგან გარდაცვალებულ სერგო მ. ამირადოვის სახსოვრად 100 მანეთი, თამბაქოს ქარხნის „ამხანაგობის კომიტეტისაგან" 300 მანეთი.

✦ **ორთაჭალის** მუშათა კლუბის გამგეობა უცხადებს მადლობას ბ. ბ. ადელხანოვს იმიტომ, რომ მან შესწირა კლუბის სასარგებლოთ ასი თეზმანი.

ᲥᲐᲠᲘᲡᲮᲘ

პარასკევს 7 მარტს, სადამოს 8 საათზე საბჭოს ბინაზე შესდგება მორიგი სხდომა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოსი. საბჭოს წევრთა გამოცხადება სავალდებულოა.

— კვირას, დილას 12 საათზე, სასახლეში მე-13 ოთახში შესდგება რაჭველ სოციალდემოკრატების არა ჩვეულებრივი კრება.

ᲙᲐᲠᲒᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲫᲐᲠᲬᲘᲚᲘ.

ფოთი. 3 მარტს მგზავრებით სავსე გემი ფოთიდან გავიდა ბათუმისაკენ, მეექვსე ვერსზე, სოფ. გრიგოლეთის მახლობლად ბუმბე მყოფმა თერთმეტმა

7, 8 და 9 მარტი უმუშევართა დღეებია

შეიარაღებულმა ახალგაზრდებმა კაპიტანს ხუჭარით მიმართეს და გემი შეაჩერებინეს, მგზავრები შეშინდნენ, ქალებმა წივილი კივილი ასტეხეს. მგზავრებმა თვით იწყეს ფულების ამოღება. მგზავრებს შორის მძარცველებმა გამოარჩიეს ადესელი ებრაელი და მას მოსთხოვეს სამი მილიონი მანეთი, რომელიც ებრაელს მიეღო თფილისში შაქრის ფასად. ებრაელს უთქვამს: ორი მილიონი თფილისში დავტოვე, მილიონი კი აქ მაქვს და მიირთვითო. შემდეგ ერთი ბერძენიდან წაუღიათ 50 ათასი მანეთი, ჩამოუშვიათ ნავი და 8 მატროსის თანახლებით გამოსულან ნაპირზე.

ბოლო. ამას წინეთ „ერთობაში“ ეწერა—ვილაც ნაძარცალები სასწავლებლის სწავლეს—ჯერ ქალთა გიმნაზია დასწვეს და მერე საოსტატო სემინარიას უმზადებენ ამაღე ბედსო. ამ გარემოების გამო სემინარიას დარაჯები დაუყენეს და პირველ მარტს კ. დეც დაიჭირეს ბოროტ-გაბზრახველი, რომელიც მესამეჯერ მიგიდა სასწავლებლის დასაწვავად. მერე იცით ვინ აღმოჩნდა ეს პიროვნება? გადამწყარ ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასის 18—19 წლის მოწაფე—ოლია ბახტაძე, რომელიც მათხოვრის ტანისამოსში მორთულიყო და ასე მოსულიყო სასწავლებლის გადასაწვავათ, იმ სასწავლებლის, რომლის კედლებში ეს ქალბატონი სწავლობდა გიმნაზია გადაწვის შემდეგ. ის იმდენად დაბელოვნებული გამოდგა, რომ პირველად მოხერხებულად მალავდა ვინაობას—მეგრელი მთხოვარი ვარო, ხოლო შემდეგ კი, როცა იცვნეს, ჩვენებმა აერია და ბევრი რამ საგულისხმო სთქვა. მან დაასახელა მოწაფეთა ერთი ჯგუფი, რომელთაც რადაც მადალ-იდეურის მიზნით გადაწყვეტიათ ხონის აფორიაქება და დაწესებულების გადაწვა. საქმე უნდა დაეწყოთ დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს. მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. მოწაფეთა ამ ხულიგანურ ჯგუფის სახელ და გვარის გამოქვეყნებას ჯერ ვერიდებით.

ა—რა.

ფოთი. გარნიზონის უფროსად დანიშნა გენ.-მაიორი ბაქრაძე.

— სამხედრო ნავთსადგურის უფროსი ჯ. ხოფერია.

— უმაღლესი ბრძანებით დაიშალა ბაბაშიძის რაზმი, რომლის მოქმედების შესახებ სწარმოების გამოძიება.

— სახალხო ავადმყოფობა გაძლიერდა. ქალაქის თვითმართველობა იძულებულია 50 საწოლიანი ბარაკი კიდევ უფრო გააფართოვოს.

— ფოთის ციხე უნუგეშო მდგომარეობაშია უსახსრობის გამო, რაც მთავრობას უკვე მოხსენდა.

მთავრობაში

სარევოლიუციო ტრიბუნალის წევრებს არ მიეცემათ სალიკვიდაციო ჯილდო, ვინაიდან სალიკვიდაციო კანონის ძალით ასეთი ჯილდო ეძლევათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მუდმივ მოსამსახურეთ.

---

1) მიეცეს მიწის მიმღებ კომისიის წევრებს (თავმჯდომარეს, წევრებს, და მიწის მზომლებს) 25 მანეთი დღიურად.

2) გადიდებული დღიური კომისიის წევრებს მიეცეთ 1919 წ. 1 იანვრიდან.

გაეხსნას მიწადმოქმედების სამინისტროს ათ მილიონიანი ფონდიდან 45,000 მანეთი კრედიტი ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ხარჯების დასაფარავად იმ პირობით, რომ ეს თანხა სასწავლებლისათვის, სათანადო კრედიტის გახსნისთანავე, სრულიად დაუბრუნდეს ხაზინას.

1) მომარაგების კომიტეტიდან ერობისათვის საჭირო მასალის მიცემა პრინციპიალურად შესაძლებლად იქნეს ცნობილი.

2) მიღებულ იქნეს ზომები, რათა მომარაგების კომიტეტის ხელში მყოფი მასალები ნაწილობრივ არ იქნეს გაყიდული.

3) დაევალოს მიწადმოქმედების ფინანსთა სამინისტროების და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიას გამართოს მოლაპარაკება ერობებთან ამ საკითხის შესახებ.

4) ერობებმა ამ კომისიას უნდა წარუდგინონ პროექტი, თუ რა პირობებში უნდათ მათ მასალების მიღება.

უმუშევართა დღე

8 მარტს ადელხანოვის მუშათა პროფესიონალური კავშირის ბინაზე მოწვეულ იქნა ამავე კავშირის საბჭოს არჩეულებრივი კრება. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა „უმუშევართა დღეების“ ნაყოფიერად ჩატარების. დახმარება ეთხოვოს აგრეთვე გ. გ. ადელხანოვის სააქციონერო საზოგადოების გამგეობას“.

ვამედოვნებთ, რომ რეზოლიუცია ისე ერთსულოვნად იქნება ცხოვრებაში გატარებული, როგორც მიღებულ იქნა კრების მიერ

კავშირის მდივანი დ. ბუაჩიძე.

გვარდიელის დღიურიდან

10 თებერვალი.

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას და სახალხო გვარდიის სარდლის ვ. ჯუღელის მოწოდებით ყვირილა-შორაპნის რაიონის სახალხო გვარდიელები, რიცხვით 114 კაცი თოფქვეშ დადექით და სალამოს 4 საათზე გავემგზავრეთ სოჭის ფრონტისაკენ. ჩვენი გვარდიელები რკინის გზის მუშებია, დაზგასთან აღზრდილი, მრავალ ფრონტზე ყოფილან და არას დროს არ დაცემულან სულით და ეხლაც მზათ არიან მტერს შეაგებონ რევოლიუციონური მკერდი და რევოლიუციას და სამშობლოს ზვარაკად შეეწიროს. თუმცა ჩვენი რაიონის გვარდიელები რიცხვით მცირე არიან, მაგრამ ამ მცირე რიცხვმა მდ. ჩოლოქთან, ნატანების ფრონტზე დაამტკიცა თავისი გმირობა და ეხლაც მზათ არიან ეძგერონ რეაქციონერებს. გავემგზავრეთ ახალ სენაკისაკენ. სამტრედიაში, სალამოს 10 საათზე შევედით. სადგურზე სამტრედიის გვარდიელები დაგვხვდნენ.

როგორც ყოველთვის ფრონტზე გამგზავრებისას ჩვეულა, ისინი ცეკვავდნენ. სამი საათის შემდეგ ჩვენი ვაგონები შეუერთეს სამტრედიელ გვარდიელებს და გავწიეთ დანიშნულ ადგილისაკენ.

11 თებერვალი.

ჩვენ უკვე ფოთში ვართ, ვემზადებით ხლვით წავიდეთ სოხუმისკენ, ჩვენი დანიშნულება იყო ახალი სენაკით გამგზავრება, მაგრამ მანძილი დიდია ახალ-სენაკიდან და არც საკმაო ავტომობილები ჰყოფნიან, ამიტომაა, რომ მუშათა საბჭოს ყველა ლმერთივით უყურებს და ყველას ეშინია მისი; ლმერთს გეფიცებით, ასე, მგონია, პოლიციისაც კი არ ეშინოდენ უწ. მუშათა საბჭოში გიჩივლებო—უთბარი ვინმეს და გინდა თოფი გისროლია, სულ ერთია. მუშათა საბჭო ყველაფერს აკეთებს, რასაც იგი დაადგენს, მისი წინაალმდეგობა არავის არ შეუძლია. მუშათა საბჭოს განჩინებებს ნიკოლოზის მანიფესტებივით აკრავენ ქუჩებში და ხალხიც გულისფანცქალით კითხულობს.

— ჩუ, მუშათა საბჭოს განცხადებაო,—წამოიძახებს ერთი ვიდაც და ასობით მოიყრის ხალხი და კითხულობენ კედელზე აკრულ აბელანიას.

ი სწორეთ ამიტომაა, რომ ჩემი ქმრისთანა კაცებსაც ფასი დაედო. ფასი კი არა, მგონი მთელ ქვეყანას ჩამოუდგენენ წინ... აბა! ახლა მუშების დროა და ეგ კაცერ გასქელებული ბურჟუები სულ ძირს უნდა ჩამოეყაროთ.

ტრაბახობით და გლახა ქალობით ნუ ჩამომართმევთ ამას და—ლმერთ მანი გულის წმინდით ვლაპარაკობ—ქუჩაში რო მიეფეთვარ, მიეფერინაე მგონია, პირდაპირ მივფრინავ! მანამდი ვინ გაგდებდა რაიმეთ, ვისი ბუში იყავი, დღეს კი ჭირი ჰაა! როცა ჩვენს ქუჩაში გაიგეს, რომ ჩემი ქმარი მუშათა საბჭოს წევრია, ყველამ მოწიწებით დამიწყო ყურება, ყველა ჩემს ბედს შემონატროდა; მეორე დღესვე მომადგნენ მოციქულები—აბა ეს გაგვიკეთოს შენმა ქმარმა და არა ეს, ამ და ამ კაცთან გვიშუამდგომლოს, იმას სიტყვა ჩაულაპარაკოსო და ვინ იცის კიდევ რა! ფეშქაშებიც კი მომიტანეს, თვარა სხვას თავი ადაენებ! ღმერთო ჩემო, როგორ მოლბა ჩემი სახლის პატრონიც! მანამდე რაღაც ამრეზილი შემოგვყურებდა და ადამიანებათაც კი არ გვთვლიდა; „რამდენჯერ შევხვეწოვარ, ავათ რო ვიყავი—ნუ ხმაურობენ ბავშები ზედა ეტაჟაში, მოსაენება მინდა თქვა, მაგრამ ვის ესმოდა ჩემი თხოვნა! ხშირად წყალსაც კი ჩამოგვიხამდენ ქვევითა, ნაგავსაც რამდენჯერ ვიყოლეთ ისინი მოთაკვეული არიან და უბატონოთ ხმას არ მცემენ. როგორც კი ჩემი ქმარი მუშათა საბჭოს წევრი გახდა, მაშინვე—„ქალბატონო ეკატერინეო“ დამიწყეს ძახილი, მანამდი კი ხა... ხა... ხა... კატიას და კატკას მიძახოდნენ.

ახლა მივხვდი, რა ძალა ქონია მუშას, დეიდოცა უფალო შენი განგება!

II.

კი, ეს ყველაფერი კარგი, მარა... ვერც ჩემი გულის ტკივილს დავმალავ, მართალი უნდა ვსთქვა, რომ ბევრი რამ არ მომწონს და ვერც გამიგია, ეს ახალთაობის დროი რაღაც სხვანაირი შეიქნა, მე რო პირველად მეგონა, იმისთანა სულაც არაა.

მიკვირს, ღმერთმანი, კაცს სახელი გქონდეს და სახრავი კი არ გაგაჩნდეს, გაგონილა ასეთი ამბავი?

აგერ ხუთ თვეზე მეტია, რაც ჩემი ქმარი მუშათა საბჭოს წევრია—ახალთაობის გამარჯვებისთანავე აირჩიეს.—დიახ, ამდენი ხანია ასეთი კაი ადგილი უკავია და ჩვენ მაინც ისევ ღარიბები ვართ და უშინდელივით მშიერ-მწყურვალე. შეილებს გეფიცებით, ნიკოლოზის დროსაც ასე ღარიბათ ვიყავით, ის კი არა, ახლა უარეს დღეში ვართ. ჰოდა, რადათ მინდა სახელი და დიდება, თუ მუდ მ მშიერი ვიქნები და სახრავი არ მექნება?

მუშების ბატონობის დროი დადგაო, ბურჟუები სულ უნდა გავწყვიტოთ, იმათი ქონება მუშებს უნდა მივსცეთო, რო იძახოდენ, ნეტავი ტყვილი იყო? მუშათა საბჭო მუშებს ეხმარებაო, მარა სადაა მისი დახმარება? ჩვენ ისევ ღარიბები ვართ, ბურჟუები კი ისევ მდიდრები არიან. რაზე არ მიაქცევს ამას ჩემი ქმარი ყურადღებას, რაზე არ იტყვის ჩვენს გაჭირვებას? ეგება სხვებს არ უჭირთ და იმიტომ არაფერს ამბობენ, მარა ჩვენი სიღარიბე ხო კარგად იცის, თქვას და მიტი რა უნდა. ის ხომ მუშათა საბჭოს წევრია, მას ყველაფერს დაუჯერებენ.

პირდაპირ მეზობლების მცხვენია და ჩემი ქმარი ასეთი და ისეთია, რას არ იზამსო, მეუბნებიან და გულში კი ალბად დამცინიან, რო რამე შეეძლოს, იმ ჩამოკონკილ კაბას გამოგიცვლიდაო, ფიქრობენ ალბად. მართალიცაა, კაცი სხვის საქმეს აკეთებდე და შენი თავი არ გახსოვდეს, როგორ შეიძლება? სახელი, სახელიო, რათ მინდა მარტო სახელი, თუ შიგ არაფერი ეყრება?

როცა საბჭოში აირჩიეს—ვსთქვი, მოგვეხედა ღმერთმა, კაცს გამიძღება, ბალნებს დავმოსავ, მეც ქალებში გაეერევთქვა, ცას ხელი მისტვიბოდა. დედაჩემს სოფელში მივწერე—ასე გაებედნიერდი, დღეს დიდი კაცის ცოლი ვარ, იდბალი მჭონია მე საწყალს, ჩემი ობლობის კვერი მშვენივრად გამოცხვათქვა; თავი მომწონდა, ბალანასავით ვტტუნავდი.. მარა, რა გამოვიდა? ჩვენ არაფერიც არ შეგვიძენია და ისევ ძველებურად ვართ!

ერთი ჩითის ნაკაბევი მჭონდა და იმით დავიარებოდი ბაზარში, მინდოდა ეს ოხრად დასარჩენი მაინც გამომეცვალა, მარა რო არაფერი მეღირსა. პირდაპირ მცხვენია ქუჩაში გარეგა—არავინ მიცნოს, რომ მუშათა საბჭოს წევრის ცოლი ვარ-თქო. ვინ გადამცა აწი ამ კაბის შეკერის დროს იმ ენა ჩასაშავებელმა! ვინ დამწყევლა—არ გედირესოს მისი გამოცვლაო?

მუშათა საბჭოს კრებაზე როცა ვარ, იქით იქით ვიმალები, არ მინდა გავაგებინო ხალხს, რომ ჩემს ქმარს ასეთი გლახა ჩაცმული ცოლი ყავს, რას იტყვიან, როგორ შეხედავენ? შერცხვება კაცს, გაწითლდება. იგი მებრალება, თვარა, აბა მე დასამალავი და უკან დასახევი რა მიკ რ: ფერი კარგი მაქვს და ბორცი, ტანადი ვარ და იერი არ მაკლია. ამდენი შრომა მინახავს, ახლაც ამდენს ვშრომობ, სამი ნაშვილები ქალიც ვარ, მარა ზოგიერთ ბარიშნას თუ არ ეჯობდე, ღმერთმა ნუ მაცოცხლოს! თვალი დაუდგება სილარიბეს, თვარა, ვინც გაჩერდებოდა მუშათა საბჭოში ჩემზე წინ ვერ ვნახავდა?

რო დავიბადე მას აქეთ შრომის ფლეში ვარ ტანჯული, ბევრი ეგ ალბა ამ ყოფილა ჩემი მოსვენება; როგორც კი სიარული შევიძელი, მგონი, მაშინვე, დამაწყებინა საწყალმა მამაჩემმა მუშაობა და ძმასავით ამომიყენა გვერდით. ისე გავხდი ცამეტი-თოთხმეტი წლის, რომ ფეხზე წული არ ჩამიცვამს, ერთი ნაკაბევის მეტი ჩემს ლოლში არ მქონია, ერთი რაა, ჩემს ტოლებში გულ გაშლილი არ გავრეფივარ, საქმე და უქმე ჩემი მუშაობა იყო: ხარის წინამძღოლიც მე ვიყავი, მეურმეც, მეხრეც, წისქვილში სულ ჩემი ბურგით ვათრევდი საფქვავს. უბედური მამაჩემი ბა შვიბით იყო დაბანკული და სად გასწვდებოდა ყველაფერს, მე რომ არ მოვ'წრებოდი, გლახად იქნებოდა მისი საქმე.

მერე, როცა უბედური გარდაიცვალა, დედაჩემმა მეტი ვერაფერი მოახერხა და მოსამსახურე გოგოთ მიმცა ერთ ჩვენებურ ვაჭარს, ახლა რო მდინარის ქუჩაზე შესანიშნავი სახლი უდგია. ენა და პირი ვერ გამოთქვამს მაშინდელ ჩემს გაჭირვებას, ხუთი წელიწადი პირდაპირ ჯოჯოხეთში ვიყავი. უპატრონოსავით ვიყავი მონდობილი მაგ წეწყმენდილზე და ისე მექცეოდნენ, როგორც ძაღლს, ადამიანად ვინ მაგდებდა. ასეთ ჯოჯოხეთში ვიყავი, რო ჩემმა იღბალმა ქმარს შემყარა და მეც სული მოვითქვი, მოვისვენე, ადამიანურად ამოვისუნთქე. მართალია შრომა და ჯაფა არც აქ მაკლდა, მაგრამ რა შეიდრება თავისუფლად და შენს ნებაზე შრომას, შენივე თავისთვის მუშაობას.

ხაზინთან რო ვიყავი, არაფერზე კეთილის გულით არ მივდიოდი, ყველაფერს ცულლუტად ვაკეთებდი, ჩემი არ იყო და გულსაც არ მეწყოდა. მარა, როცა უფალმა ჩემი საკუთარი პირი მომცა, მომველი და პატრონი მაღირსა, მერე სულ სხვანაირად ვშრომობდი, მერე სულ სხვა ხალისი მიყვებოდა ჩემს საქმიანობას.

ღარიბი ვიყავი, მარა ბედის კმაყოფილი მაინც ვიყავი. ვიქირავეთ მე და ჩემმა ქმარმა ერთი ოთახი—თვეში სამ მანეთად და სიამის ცხოვრებას შევუდექით. ის ქარხანაში მიდიოდა, მე კი ბინა რიგიანად ავალაგე, ბალიში ავიღე, ბალიშზე ბალიში ავიდე, ბალიშ-ბალიშ ავიდე, ბალიშ-ბალიშ ავიდე, ბალიშ-ბალიშ

ძალითაც მეტი ბილეთის გაყიდვა არ შეიძლებოდა, კასაც დაიკეტა და ჩვენც რიგიდან დავიშალეთ და შემდეგ კი ისევ დაიწყეს ბილეთის გაყიდვა. ის არ დარწმუნდა, მაგრამ როცა თითონ ვთხოვე და წამოვიყვანე საბილეთო კასასთან, მოწმეებით ავუხსენი ყველაფერი, თავი გაიქნია და გაბრუნდა. როცა მე და ჩემთან ერთად სხვა მგზავრებიც დაჟინებით მოითხოვდენ, თუ რათ მოხდა ეს ასე და ვის განკარგულებით, ერთმა, ამავე სადგურის მოსამსახურემ, ბრაზმორეული მიყვირა: ნუ გაბედობ შენ, ვიღაცა ხარ, აქ ხარჩენია არ არის, თორემ...

საჭიროა შესაფერი ზომების მიღება, ვისგანაც ჯერ არს.

თეოფანე ზემო აკეთელი.

ვლადიმერ სტურუა

დღეს შესრულდა გარდაცვალებიდან ორმოცი დღე თფილისის რკინის გზის დეპოს მუშის ამხანაგ ვლადიმერ მიხეილის ძეს სტურუასი, რომელიც გვარდიის შექმნის დღიდან მიღებულ იყო გვარდიაში, მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში ყველა ფრონტზე. უკანასკნელად შულავერში სომხებთან ბრძოლაში დაჭრილ იქნა მძიმეთ, რასაც ზედ დაერთო ტიფით ავათმყოფობა და უდრთოთ გამოგვაცალა ს. დ. მ. პარტიის ერთგული წევრი; დიდათ ვწუხვართ ნაცნობნი და ამხანაგები მის უდროოთ დაკარგვას.

ს. აზმაიფარაშვილი.

ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

თფილისი. 2 მარტს შესდგა პირველად ახალგაზრდა მარქსისტთა კრება მესამე რაიონის კოლ. ბინაზე. თავმჯდომარეობდა ამხ. ბერაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრალური პროფესიონალურ საბჭოდან; 2) მეკობკეთა შეერთება სალახების კავშირთან; 3) ამორჩევა ორი წარმომადგენელისა ცენტრალურ საბჭოში; 4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა სალახთა პროფესიონალურ კავშირისა. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ცენტრალურ პროფესიონალურ საბჭოს თავმჯდომარისა ა. ხელაძემ. მეორე კითხვის შესახებ კამათი დიდხანს გაგრძელდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული შეკავშირება. ქალაქის ცენტრალურ პროფესიონალურ საბჭოში იქნა ერთხმათ არჩეულ ამხანაგნი: ს. ხერხეულიძე და ი. საგანელიძე. რაც შეეხება მოხსენებას სალახთა პროფ. კავშირის სარევიზიო კომისიისა, კრება ვერ იქნა დაკმაყოფილებულ ტ იქნა გადადებული მომავალ საერთო კრებისთვის. კრების დახურვის დროს შემოდის განცხადება, რომ მესამე რაიონულ კოლექტივის დავალებით უნდა იქნას დახმარება გარდაცვალებულ ამხ. ვანო განჯელოვის, რომლის ცოლშვილი უმწეო მდგომარეობაში არის. აქვე იქნა შეგროვილი 350 მანეთი.

მდივანი ჰ. ბოკერია.

პროვინცია

ბორჯომი. 2 მარტს მოხდა ბორჯომის თვითმართველობის ოფიციალური გახსნა. კრება გაიხსნა ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს დარბაზში. გახსნას დაესწრო გარეშე საზოგადოებაც. კრება გახსნა სოც.-დემ. კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. დევიძემ, რომელმაც მისასალმებელ სიტყვის შემდეგ მიმართა ხმოსანთ საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების შესახებ. დაასახელეს ექ. ს. კანდელაკი, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის არჩევა გიდადიდო შემდეგი კრებისთვის, ვინაიდან ამ კანდიდატის შესახებ ვერ მოხდა შეთანხმება ფრაქციათა შორის. საბჭოს მდივნათ არჩეულ იქნა გრ. ღლონტი. პირველი საკითხი იყო ბორჯომის თვითმართველობის ფორმა, შემდეგ ქალაქის თავის და გამგეობის წევრთა არჩევნები. თანახმად წინასწარ კრების თათბირის დადგენილებისა, კრების მიერ მიღებულ იქნა მარტივი თვითმართველობის ფორმა, რომელმაც შეთანხმებით უნდა იმუშავოს ბორჯომის ხმამფლის გამგეობასთან. ქალაქის თავად დასახელებულ იქნა სოც. დემ. ფრაქციის მიერ მამულის გამგე გიორგი ხუნდაძე, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული. დიდი კამათი გამოიწვია პირველი გამგეობის წევრის მიწვევის საკითხმა. უპარტიო მოქალაქეთა ფრაქცია მოითხოვდა ამ ადგილზე მათი კანდიდატის ნიკ. ჯომარდიძის არჩევას, რაზედაც სოც. დემ. ფრაქცია არ ეთანხმებოდა, ვინაიდან, თანახმად წინასწარ კრების თათბირის დადგენილებისა, ამ ადგილზე უნდა მოწვეულ ყოფილიყო გარედან სამუნიციპალო და საკურორტო საკითხების მცოდნე პირი. თავმჯდომარე იძულებული გახდა ეს საკითხი გადაეწყვიტა ფარული კენჭის ყრით. ხმის უმრავლესობით გადაწყდა პირველი გამგეობის წევრის მოწვევა. მეორე გამგეობის წევრად არჩეულ იქნა ხმ. ნიკ. ჯომარდიძე. მის არჩევის დროს უპარტიო ფრაქციის რამოდენიმე ხმა ანმა თავი შეიკავა.

ამის შემდეგ მოხდა კომისიების დასახელება და მისი წევრების არჩევა. დასახელებულ იქნა ხუთი კომისია, რომელშიდაც არჩეულ იქნენ შემდეგი ხმოსნები: საფინანსო - სამეურნეოში: იოაკ. გიორგაძე, მ. ქიმერიძე, ჰ. ხუციშვილი, ვ. ზაქრაძე ალ. მაისურაძე და ვ. კანდაუროვი. სანიტარულ-ტექნიკურში: ექ. ს. კანდელაკი, თ. გობრონიძე, იოაკ. გორგაძე, კ. ჯაფარიძე, ექ. შენგელია და ალ. ხმალაძე. სამოსწავლოში: ნოე დევიძე, ზ. ნებიერიძე, ნ. ჯომარდიძე, ს. კოდიშაძე და ს. კანდელაკი. სასურსათოში: ზ. ნებიერიძე, ივ. ხმალაძე, ზაქრაძე, მ. ხუციშვილი და კ. ჯაფარიძე. ადმინისტრატიულ-იურიდიულში: ივ. ხმალაძე, ნიკ. ჯომარდიძე, ნ. დევიძე, გ. ვაშაკიძე და ალ. მაისურაძე. საბჭოს ჩვეულებრივი კრებები დაინიშნა ორშაბათობით.

ნოდე.

— —

ს. ძვაკუდი (გურია). ძნელად თუ მოიძებნება ასეთი ჩამორჩენილი კუთხე მთელ გურიაში, როგორიც არის ზემოხსენებული სოფელი. უპატრონობა დღეს ის. ახალგაზდობა სოფელს მოსცილებია, უმრავლესობა ქალაქში მსახურობს. ყველა სოფლებში არსებობს დღეს თითქმის სამკითხველო, სასწავლებლები, იმართება წარმოდგენები, იკითხება ლექციები და სხვა, მაგრამ ამისთანეებს სრულიად მოკლებულია ქვაყუდის მცხოვრებლები. რას უნდა მივაწეროთ ეს? ადგილობრივ მცხოვრებლების მოუწყობლობას და განუვითარებლობას. მეტადრე სასაყვედურო არის ამ სოფლის მოინტელიგენტი ახალგაზდობა, რომლებიც ქალაქებში სცხოვრობენ და თავის სოფელი სრულიად მივიწყებული აქვთ. აგერ ერთი წელია რაც სამკითხველოს გახსნას ფიქრობდნენ, მაგრამ დღესაც ვერ მოუხერხებიათ. ეს კი უნდა დაბრალდეს იმ პირებს, რომლებიც იყვნენ ამ საქმეში არჩეულნი. მეორეთ, ამ სოფელში არის ერთი სასწავლებელი, რომელსაც ორი შენობა უჭერია და შიგაც ორი მასწავლებელი ასწავლის, მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ ისინიც კი არიან საყვედურის ღირსნი. მიზეზად ის არის, რომ ისინი, გარდა თავისი პირადი მოვალეობისა ვერაფერ ყურადღებას ვერ აქცევენ სოფელს. სასწავლებელიც ვერ არის რიგიანათ მოწყობილი. ვისაც უნახავს ეს სოფელი ათი-თორმეტი წლის წინად, ის დღეს გაოცდება აქაურობის ნახვით. თუ მაშინ იყო სკოლა ყველაფერი მორთული, დღეს სულ მინგრეულია. თუ უწინდელი მასწავლებელი დადიოდა სოფლად, არიგებდა ხალხს უსნიდა მომენტის მნიშვნელობას, ეხმარებოდა მეურნეობაში, უკითხავდა გაზეთებს, დღევანდელი მასწავლებლები თითქმის მცხოვრებლების უმეტესობის უცნობნიც არიან. ერთი სიტყვით თუ ძველად ეს სოფელი სოფელს გავდა, დღეს მხოლოდ ნასოფლარს დამსგავსებია.

რა არის საჭირო ამისთვის, რომ მან ნამდვილი სოფლის სახე მიიღოს? საჭიროა ყველა შეგნებულმა ძალებმა მოიკრიფონ ძალა, იმუშაონ ერთგულად, ქალაქებში მყოფმა ამ სოფლის მკვიდრ მცხოვრებლებმა დაეხმარონ სოფელს. აქაურმა მცხოვრებლებმაც გამოიჩინონ ენერგია საკეთილო საქმეში, მასწავლებლებმაც მიაქციონ ყურადღება ხალხის გულის ტკივილს წაბაძონ ამ სოფლის ძველ მასწავლებელ ი. თევზაძეს, რომელიც თავ გამოდებით შრომობდა ამ სოფლის საკეთილდღეოთ და ეი ამით შეიძლება დაცემული სოფელიც სხვა სოფელს დაემსგავსოს. ამასთანავე საჭიროა გზების შეკეთება და ამით ცხოვრების გაუმჯობესება. საჭიროა ერობამ მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს.

საწყალი მუშა.

წერილი რედ. მიმართ

სომხებთან ომისა გამო მოწვეულ იქნენ სათადარიგო ჯარისკაცები, რომლებიც მსახურებდნენ მე-8, 11 და 12 გუნდებში რწმუნებულ ჩემდამი რაზმში, დემობილიზაციისას მათი კუთვნილი ჯამაგირი 7075 მანეთი დაუტოვეს რაზმს, რათა აქედან ეს თანხა გაგზავნილ-ებინა დაჭრილ-დასახიჩრებულ და მოკლულ ჯარისკაცთა ოჯახთათვის.

ვუცხადებ რა მათ ღრმა და გულითად მადლობას ასეთ კეთილშობილური საქმისა გამო, ვთხოვ, დაჭრილ დასახიჩრებულთა და მოკლულთა ოჯახებს „პოსობიის“ მისაღებათ მომმართონ პირდაპირ მე ქ. თფილისში, ყოფილ მინგრელსკის ყაზარმებში.

მე 5 რაზმის უფროსი, გენერალ-მაიორი ბალუაშვილი.

განცხადებანი

იყიდება

დამზადებული ხის მასალა: ფანერები, რეიკები, ნაკიდურები და სხვა. ცნობებისათვის უნდა მიმართოთ სამხედრო ხე ტყის ქარხანაში, მადათოვის კუნძულზე. გაყიდვა მოხდება 10 მარტამდე.

(2—1)

ექიმი

ნ. ბ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორდანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ.17—68.

ექიმი

კ. თ. ტყეშელაშვილის

საამკურნალო კაბინეთი

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, ხაფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შაშარდე და სახქესე ორგანოთა ხნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—4)

ექიმი ნეიროლოგ ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით(ციება), და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხანმოკლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან ხნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემოლის აფთიაქის ახლოს.

ნაბანა თვალის საავადმყოფოს

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „პოლოს“ ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი ბ. ა. შაშარანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების ხნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

კბილის ხელოვნი კბილნეთები

თეოდორა ალექსანდრეს ძე ცხოვრებაძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარანინის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

დებულობს: შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის ხნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—35.

ექიმი ქალი

ვაინი

იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგანსნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდბნაია, 33 ეზოში.

ექიმი

ი. გ. კონიევი

იღებს შინაგან ხნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ვეტერინარ-დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლეკისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტზე; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიგებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ა. ნ. შასილოვი

იღებს ოფალის ხნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონკოვის ხიდის ახლოს).

ექიმი

ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქუჩა № 30.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ ხნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ № 116 სასტუმრო „ნიოს“ პირდაპირ. ტელ 14—28.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. უვლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, 8 მარტს, შულგინას, კალანდაძის, სპიტკოს, სარაჯიშვილის, ინაშვილის და პოლიევის მონაწილეობით

1. „თქმულება შოთა რუსთაველზე“ 2. გალეტი „ბრძნეული სალამური“

კვირას, 9 მარტს, დილით „რიგოლეტო“, საღამოს „ჩერემიჩკი“.

სამშაბათს, 11 მარტს, „ა ხ ა ლ ო ვ ა ნ ი“.

საჭირო არიან

ინგლისურ ენის მცოდნენი

თარჯიმანებათ და დაწესებულებებში მოხელეებათ, რუსულ და ქართულ ენის ცოდნა აუცილებელია. დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ნანეიშვილის ბინაზე, მატინოვის ქუჩა № 16. ტელ. 17—78. ქალაქ გარეშეთ წერილობითი.

„უმუშევართა დღეები“

7, 8 და 9 მარტს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში არაჩვეულებრივი

კონცერტი—კაბარე

საღამოს 10 საათიდან ღამის 3 საათამდის განუწყვეტელი, პროგრამა სცენაზედ და სალხში. მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, მელოდრამები. ახალი ნომრები. პირველად იდგმება თფილისის სცენაზე: „ხამი იტალიელი ქალი“ ხერ. გორდეეკის. ახალი ნაწარმოებები: ხ. კორონას, ბორ. პროზოროვსკის, იაკ. ლვოვის, ხუარეზები ხაზოგადოებისათვის, გამოჩენილ მხახიობების მონაწილეობით, ექსტრონტები, ახალი ტრიუკები. დრამები „ლადია არგონავტოვ“ როიალთან ბორ. პროზოროვსკი, ხ. კორონა. მხატვრული ხელოვნერატურო განყოფილებას განაგებს ხ. გოროდეეკი, ვ. აფანასიევი.

საღამოს დიასახლისი ა. ქავთარაძე.

შესავალი ბილეთები არ არის. კაბარეზედ მაგიდების ყიდვა შეიძლება იმ დღეს დარბაზში შესვლის დროს.

9 მარტს „ლადია არგონავტოვ“. სპეციალური საღამო 3 საათამდის. (2—1)

ახალი ტიპის სასწავლებელი

საერთო განათლების კურსები

გაიხსნება ქ. თფილისში ყოფ. კადეტთა კორპუსში. მიიღებიან ორივე სქესის მსმენელები. კურსი (საშვალო სკოლის სრული პროგრამა) სრულდება ხუთი სემესტრის განმავლობაში. მიღება კოლოკვიუმით. მეცადინეობა ლექციური და საგნობრივი (საგანდებულო რეპეტიციებით). გათავებისას მსურველთ შეუძლიათ მიიღონ მთავრობისაგან დადასტურებული სიმწიფის მოწმობა. ჩაწერა შეიძლება გოლოვინ პროსპ. კადეტთა კორპუსი, ოთახი მარჯვნივ, საღამოს 6—8 საათ. (3—1)

საჯარო ვაჭრობა

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ შაბათს 8 მარტს დღის 12 საათზე გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობით

იჯარით გაიცემა ვერის ბოსანი. კონდიციები და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დროს საიჯარო-საადგილმამულო განყოფილებაში.

გორჯომის თვითმართველობა

იწვევს საკურორტო და სამუნიციპალო საკითხების მცოდნე პირს გამგეობის წევრათ. მსურველს პირობების გაგება შეუძლია თვითმართველობის გამგეობაში.

(3—2)

მოიკითხეთ საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლი ფირმა „დ. დ. დეკანოზიშვილი“-სა

(თესლი გასინჯულია და მოწონებული საბრეშუმე სადგურის მიერ).

მისამართი: დუშეთის ქუჩა № 21, ბინა მექანარიშვილისა.

ცნობები მიიღება: ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 6 საათამდის. (4—3)

განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზის სასურსათო კომიტეტი იწვევს მოიჯარადრეებს, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტს რაიმე პროდუქტი—საქონელი. მსურველებს შეუძლიათ მოგრძანდნენ მოსალაპარაკებლად დილის 10—3 საათამდე, ელისაბედის და მუშტაიდის ქუჩის კუთხე, № 200. (3—3)

განცხადება

სამტრედიის კოოპერატივ «დახმარება»-ს წევრთა წლიური ჩვეულებრივი კრება დანიშნულია კვირას 9 მარტს (ახ. სტ.) 1919 წ. დილის 9 საათიდან, ქალაქის საკრებულო დარბაზში და თუ არ შესდგა—მის სწორს 16 მარტს.

დღიური წესრიგი

1) მოხსენება გამგეობისა
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) საანგარიშო (1918) წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4) მიმდინარე წლის საკარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.
5) საპაიო ფულის გადიდება 50 მანეთამდე.
6) ბროკენტების გადიდება მობარებულ ფულზე 12 ბროკ.-მდე
7) საანგარიშო (1918) წლის მოგების განაწილება.
8) სასადილოს გახსნა.
9) გამგეობის წევრებზე თვიურ ჯამაგირის დანიშვნა და სხ.
10) არჩევნები სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრების.

(2—2) გამგეობა.

უაქარი

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა ამით აცხადებს ქალაქის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ამა წლის 6 მარტიდან დაიწყება იანვრის თვის ბაქრის დარიგება. სულზედ მიეცემათ თითო გირვანქა ბაქარი. ფასი ბაქრისა 4 მან. გირვანქა.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება. (3—2)

განცხადება

კახელ მეგენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

პრემია 500 მანეთი **„კახეთი“** პრემია 500 მანეთი

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ბაენებულ საზოგადოებას აზრათ აქვს შემოიღოს ქართული ეტიკეტები (ярлыки) ამისათვის სთხოვს ყველა მცოდნე პირთ ამ საქმისთვის წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოები. საუკეთესოთ მიჩნეულისთვის დანიშნულია

პრემია 500 მანეთი

პირადად მოლაპარაკება გამგეობასთან და დაწვრილებითი ცნობების მიღება საზოგ. „კახეთის“ მთავარ კანტორაში: გოგოლის ქუჩა № 63. 9—3 საათამდე, გარდა უქმეებისა

გამგეობა. (3—3)